



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



## განკარგულება №73

2011 წლის 18 ივნისი  
ქალაქი ხაშური

**სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფის და საავტომობილო საწვავის(ბენზინის და დიზელის) და კვების პროდუქტების შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ**

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2011 წლის 18 ივნისს მოსული უხვი ნალექისა და განვითარებული მეწყერული მოვლენების შედეგად ადიდდა მდინარე სურამულა, რამაც გამოუწვია დაბა სურამისა და ქალაქ ხაშურის მოსახლეობის დატბორვა, ასევე, რიკოთისა და სოფელ ჩუმათელეთის გარკვეული ნაწილის დამეწყვრა.

სტიქიის შედეგების სასწრაფო ლიკვიდაციისათვის აუცილებლობას წარმოადგენს საავტომობილო საწვავის (ბენზინის, დიზელის) და სამაშველო ჯგუფებისათვის კვების პროდუქტების შესყიდვა.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 პრიმა მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ პირველი რიგის გადაუდებელი ღონისძიებების გასატარებლად, განხორციელდეს საავტომობილო საწვავის ( ბენზინის და დიზელის) და კვების პროდუქტების გამარტივებული შესყიდვა;
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას უზრუნველყოს ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან შესაბამისი თანხების გამოყოფა და განხორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად;
3. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს როსტომ გრიგალაშვილს განხორციელოს კონტროლი ფორს-მაჟორული მდგომარეობის დროს გაწეული დანახარჯების (საწვავი, კვების პროდუქტები) აღრიცხვასა და განაწილებაზე.
4. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში(ქ.ხაშური, კოსტავას ქ.№15) ერთი თვის განმავლობაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე  დავით ლომიძე

